განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები“.

პროექტის მიზანია იმ ადგილების განსაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც არ არის მოწესრიგებული ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სისტემა.

პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არ მქონე, ის დასახლებული ტერიტორიები, სადაც ფიზიკური პირებისათვის, 2016 წლის 15 იანვრამდე, არ იმოქმედებს სანქციები:

1. 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;

2. 2 კგ ან მეტი ოდენობის მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;
3. დიდი მოცულობის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;
ასევე დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, შინაური ცხოველის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურებისათვის.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, ფოთლების, ბაღის ნარჩების, საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ღია წესით დაწვაზე.
ეს რეგულაციები ზოგადად მოცემულია საქართველოს კანონში „ნარჩენების მართვის კოდექსი“.

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე ბერაძე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე: მარინე ბერაძე

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

“ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106 [1]თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. “ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №____

2015 წლის _____

დ. ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არ მქონე, ის დასახლებული ტერიტორიები (დანართი N1), სადაც ფიზიკური პირებისათვის, 2016 წლის 15 იანვრამდე, არ იმოქმედებს სანქციები:

1. 2 კგ-მდე მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;

2. 2 კგ ან მეტი ოდენობის მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;
3. დიდი მოცულობის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანებაზე;

მუხლი 2

დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, შინაური ცხოველის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურებისათვის (დანართი N2);

მუხლი 3

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია, ფოთლების, ბაღის ნარჩების, საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ღია წესით დაწვაზე.
მუხლი 4
დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესი გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 5
დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობის შესაბამისად.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხტაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შგროვების და გატანის სისტემის არქმონე დასახლებული ტერიტორიები

1. ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა ბუკისციხის ცენტრისა)
2. ამაღლების ადმინისტრაციული ერთეული
3. გოგოლესუბნის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა გოგოლესუბნის ცენტრისა)
4. გორაბერეჟოულის ადმინისტრაციული ერთეული
5. გუთურის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა გუთურის ახალი სასაფლაო, ძველი სასაფლაო და გუთურის ადმინისტრაციული საზღვრის დასაწყისი ტერიტორია)
6. დაბლაციხის ადმინისტრაციული ერთეული
7. დიდივანის ადმინისტრაციული ერთეული
8. ერკეთის ადმინისტრაციული ერთეული (სოფ. ქვემოერკეთის სასაფლაო)
9. ზემოსურების ადმინისტრაციული ერთეული
10. ზემოხეთის ადმინისტრაციული ერთეული
11. ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეული
12. ზოტის ადმინისტრაციული ერთეული
13. კოხნარის ადმინისტრაციული ერთეული
14. ნაბეღლავის ადმინისტრაციული ერთეული
15. საჭამიასერის ადმინისტრაციული ერთეული
16. ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა ზემო ფარცხმის დასაწყისი 2 კმ; ზემო ფარცხმის სასაფლაო, ზემო ფარცხმაში ყოფილი ფერმის ჩასახვევი, შუა ფარცხმის დასაწყისი, შუა ფარცხმის ცენტრი, შუაფარცხმის სტადიონის მიმდებარე ტერიტორია)
17. ქვენობნის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა სოფ.ბუკნარის ცენტრი)
18. შუამაღლების ადმინისტრაციული ერთეული (გარდა სოფლის ცენტრი)
19. შუა სურების ადმინისტრაციული ერთეული
20. ჯვარცხმის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა ჯვარცხმის ადმინისტრაციული საზღვრის დასაწყისი, საზღვრიდან მე-2 შესახვევი, საზღვრიდან 1 კმ-ში მოსახვევი, ჯვარცხმის ცენტრში საჯარო სკოლასთან.
21. ხევის ადმინისტრაციული ერთეული.
22. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა ხიდისთავის ცენტრი, ბახმაროს გადასახვევი)

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიები, სადაც 2016 წლის 15 იანვრამდე არ იმოქმედებს სანქცია,შინაური ცხოველის ფეკალური მასებით ტერიტორიის დაბინძურებისათვის

1. დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეული (გარდა დუმბაძის ქუჩა აგრარული ბაზრის ჩათვლით; „ვისოლის“ თბილისის ქუჩა ვისოლის ბენზინგასამართი სადგურიდან სამედიცინო ცენტრ „მედალფამდე“; მარის ქუჩა მუსიკალური სკოლიდან დაბის სასაფლაოს შესახვევამდე, სასაფლაოს აღმართის ჩათვლით; ჭავჭავაძის ქუჩა საკათედრო ტაძრიდან კომისარიატის აღმართის ჩათვლით; გურიის ქუჩა სრულად; რუსთაველის ქუჩა პოლიციის ხიდიდან მრავალბინიანი საცხოვრებლის ჩათვლით; გოგიბერიძის ქუჩა პოლიციიდან გურგენიძის ქუჩის კვეტამდე; 9 აპრილის ქუჩა; ბენდელიანის ქუჩა კინოთეატრ „გურიას“ გვერდით; წერეთლის ქუჩა მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობიდან გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიამდე; კოსტავასა ქუჩა მდინარე სუფსის ხიდიდან „გიოოილის“ ბენზინგასამართ სადგურამდე; ლომთათიძის ქუჩა ბახმაროს გადასახვევიდან თხილის გადამამუშავებელი ქარხნის შენობამდე; გურამიშვილის ქუჩა ლომთათიძის ქუჩიდან ღვინის ქარხნამდე;)

2. ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეული
3. ამაღლების ადმინისტრაციული ერთეული
4. გოგოლესუბნის ადმინისტრაციული ერთეული
5. გორაბერეჟოულის ადმინისტრაციული ერთეული
6. გუთურის ადმინისტრაციული ერთეული
7. დაბლაციხის ადმინისტრაციული ერთეული
8. დიდივანის ადმინისტრაციული ერთეული
9. ერკეთის ადმინისტრაციული ერთეული
10. ზემოსურების ადმინისტრაციული ერთეული
11. ზემოხეთის ადმინისტრაციული ერთეული
12. ზომლეთის ადმინისტრაციული ერთეული
13. ზოტის ადმინისტრაციული ერთეული
14. კოხნარის ადმინისტრაციული ერთეული
15. ნაბეღლავის ადმინისტრაციული ერთეული
16. საჭამიასერის ადმინისტრაციული ერთეული
17. ფარცხმის ადმინისტრაციული ერთეული
18. ქვენობნის ადმინისტრაციული ერთეული
19. შუამაღლების ადმინისტრაციული ერთეული
20. შუა სურების ადმინისტრაციული ერთეული
21. ჯვარცხმის ადმინისტრაციული ერთეული
22. ხევის ადმინისტრაციული ერთეული.
23. ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეული

დასკვნა

„ჩოხატაურის მუნიციპალიტსტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ სადაც არ იმოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები“.- დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლთან, ასევე საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 48-ე მუხლთან.

დადგენილების პროექტის დანართებში ზუსტად არის განსაზღვრული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ის ტერიტორიები, ადმინისტრაციული ერთეულები სადაც არ გავრცელდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები.